

**სსსფ-ს სპორტული კოდექსის დანართი, 2017 წლის სარბოლო სეზონის საავტომობილო რბოლებში მონაწილეობის მისაღებად.
სსსფ-ს ლიცენზიების გაცემის საერთო წესები.**

სარჩევი:

1.1) საერთო დებულებები

1.2) ლიცენზიების გაცემა

1.3) სხვა ქვეყნის სსფ-ს მიერ ეროვნული სტატუსით აღჭურვილი საავტომობილო ფედერაციის ლიცენზიის მიღება

1.4) ეროვნული ლიცენზიის სახეობები, კატეგორიები და ნორმატივები მათ მისაღებად

1.5) ეროვნული ლიცენზიების გაცემის ასაკობრივი დიაპაზონი

1.6) დაზღვევა

1.7) ლიცენზიის მოქმედების ვადა

1.8) ლიცენზიის ღირებულება

1.9) ლიცენზიის მოქმედება

1.1) საერთო დებულებები.

საავტომობილო სპორტის სფეროში ყველა სახის ლიცენზია გაცემა საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ სპორტული კოდექსის შესაბამისად. ყველა იმ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა, რომელსაც გააჩნია სურვილი ლიცენზიის მიღებისა, უნდა მიმართოს სსსფ-ს. ფიზიკურ პირს არ გააჩნია უფლება, მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრში თუ მას არ აქვს აღებული შესაბამისი ლიცენზია გაცემული სსფ-ს, სსფ-ს წევრი რომელიმე ქვეყნის ესფ-ს ან სსსფ-ს მიერ. ფიზიკურ პირებზე, ეროვნული ლიცენზია გაცემა სსსფ-ს მიერ, ფიზიკური პირის განაცხადის განხილვის შემდგომ, საერთაშორისო ლიცენზიას გასცემს სსსფ, სსსფ-ს სპორტული კოდექსის შესაბამისად.

მრბოლელის ლიცენზიის მიღება, ასევე შესაძლებელია მხოლოდ ერთი ფსევდონიმის გამოყენებით. ერთი პირის მიერ ორი ფსევდონიმის გამოყენება დაუშვებელია. ლიცენზიის გაცემისა ან მისი აღდგენის ღირებულებას ადგენს სსსფ. ყველა ლიცენზია საჭიროებს ყოველწლიურ განახლებას.

დროებითი დისკვალიფიკაცია ან ლიცენზიის ჩამორთმევა დასჯის მიზნით, იწვევს ლიცენზიის მფლობელის სსსფ-ს და სსფ-ს მიერ ორგანიზებულ ასევე სსსფ-ს სპორტულ კალენდარში ჩასმულ შეჯიბრებში, დროებით ან მუდმივ აკრძალვას.

1.2) ლიცენზიების გაცემა

ლიცენზია წარმოადგენს სერტიფიკატს, რომელიც დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ და რომელიც შეიცავს სსსფ-ს დასახელებასა და სიმბოლიკას. ყველა ეროვნული ლიცენზია მოქმედებს მხოლოდ სსსფ-ს მიერ ორგანიზებულ და მისი იურისდიქციის ქვეშ გამართულ შეჯიბრებში.

1.3) ნების დართვა სხვა ქვეყნის ეროვნული ფედერაციის ლიცენზიის მისაღებად.

სხვა ქვეყნის მრბოლელის ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია ნებართვის აღება სსსფ-ში. ნებართვა გაცემა მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, როდესაც მრბოლელს შეუძლია წარმოადგინოს დასაბუთება იმ ქვეყანაში მუდმივი ყოფნის შესახებ, რომელშიც იმართება შეჯიბრი.

სსსფ-ს აქვს უფლება გასცეს ლიცენზია უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, თუ ეს პირი წარმოადგენს თავისი ქვეყნის ესფ-ს მიერ გაცემულ საბუთს რომ ამ პირს არ გააჩნია არანაირი ლიცენზია და რომ ესფ თანახმაა მიეცეს პირს სსსფ-ს ლიცენზია. ასევე იმ შემთხვევაში, თუ იმ ქვეყანაში, რომლიდანაც არის პირი, არ არსებობს სსფ-ს წევრი ესფ.

1.4) ეროვნული ლიცენზიის სახეობები, კატეგორიები და ნორმატივები მათ მისაღებად.

კოპილოტის (შტურმანის, კოდრაივერის, ნავიგატორის) კატეგორია:

EC - კატეგორია - სსსფ-ს მიერ ან/და ეგიდით ორგანიზებულ საავტომობილო პროფესიონალურ რბოლებში, სადაც დაშვებულია შტურმანის (კოპილოტი, კოდრაივერი ან ნავიგატორი) მონაწილეობა, მსურველი (განმცხადებელი) ვალდებულია ფლობდეს შესაბამის ლიცენზიას. ლიცენზიის მისაღებად პირმა უნდა წარმოადგინოს ,

დოკუმენტები:

- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში (16 - დან 18 წლამდე) ნოტარიულად დამტკიცებული მშობლების თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;

მონაწილის ლიცენზია:

Competitor - კატეგორია - სსსფ-ს მიერ ან ეგიდით ორგანიზებულ ღონისძიებაზე წარმდგენი სუბიექტის დოკუმენტი. სსსფ-ს მიერ ან ეგიდით ორგანიზებულ ნებისმიერ სახეობაში შეიძლება არსებობდეს გუნდები, რომელიც მიიღებს ჩემპიონატში გუნდურ ჩათვლას. თითოეულ სახეობაში (სერიაში) თითოეულ გუნდს შეიძლება ჰქონდეს 1 (ერთი) ან მაქსიმუმ 2 (ორი) ბოლიდი (სპორტული ან მონაწილე ავტომობილი);

შენიშვნა: მრბოლელებს ან/და გუნდებს წარადგენს და არეგისტრირებს მხოლოდ მონაწილის ლიცენზიის მქონე იურიდიული ან ფიზიკური პირი. მონაწილის ლიცენზიის მქონე პირი შეიძლება იყოს როგორც მრბოლელი ან გუნდის წევრი, ასევე დამოუკიდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ერთ მონაწილეს შეუძლია დაარეგისტროს ერთი მრბოლელი ან სარბოლო გუნდი რბოლის ერთ კონკრეტულ სახეობაში. აღნიშნული ლიცენზიის მფლობელი შეიძლება წარმოადგენდეს რამოდენიმე პილოტს/ებს რბოლის სხვადასხვა სახეობაში.

დოკუმენტები:

- შესაბამისი განაცხადი გუნდის დასახელებისა და მისი შემადგენლობის მითითებით;
- განმცხადებელის პირადობის მოწმობა;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში განმცხადებელის პირადობის მოწმობა, იურიდიული პირის შემთხვევაში რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი.
- გუნდში შემავალი სპორტსმენების პირადობის მოწმობის და მოქმედი ლიცენზიის ასლები;

ორგანიზატორის ლიცენზია:

ORG / (E, D, C, B, A) - კატეგორია - იურიდიული პირი, რომელიც აწყობს სსსფ-ს სპორტული კალენდრით გათვალისწინებულ სპორტულ ღონისძიებას ვალდებულია ფლობდეს შესაბამის ლიცენზიას.

ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

- განაცხადი.
- მიმღებმა უნდა წარმოადგინოს სახელმწიფო სარეგისტრაციო მოწმობა.

მწვრთვანის ლიცენზია:

TR/S,C, R, J, D, Off-Road, N - კატეგორია - ფიზიკური პირი, რომელსაც სსსფ-სგან ეძლევა ნებართვა მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო კურსებში დამწყებ და მოქმედ მრბოლელებთან. ლიცენზია არის დასტური ამ პირის კვალიფიკაციისა კონკრეტული მიმართულებით. განაცხადის შემდგომი პირი უნდა იყოს სრულწლოვანი (18 წლის).

- **TR/S** - კატეგორია - მწვრთვანი, წრიული რბოლების კვალიფიკაციით ერთ ადგილიანი ავტომობილების კლასში;
- **TR/C** - კატეგორია - მწვრთვანი, წრიული რბოლების კვალიფიკაციით ძარიან ავტომობილების კლასში;
- **TR/R** - კატეგორია - მწვრთვანი, საგზაო რბოლების კვალიფიკაციით ძარიან ავტომობილებში (რალი, აღმართის დაძლევა);
- **TR/J** - კატეგორია - მწვრთვანი, საყმაწვილო რბოლების კვალიფიკაციით კარტინგში;
- **TR/D** - კატეგორია - მწვრთვანი, დრავის რბოლების კვალიფიკაციით;
- **TR/Off-Road** - კატეგორია - მწვრთვანი, რთულად გავლადი რბოლების კვალიფიკაციით ძარიან ავტომობილებში (კროსი, რალი კროსი და ა.შ.);
- **TR/N** - კატეგორია - მწვრთვანი, შტურმანის (კოპილოტი, კოდრაივერი, ნავიგატორი) კვალიფიკაციით ძარიან ავტომობილებში (რალი, აღმართის დაძლევა);

ლიცენზიის მსურველველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ნორმატივი:

1. FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული უნდა იყოს მრბოლელის ლიცენზია;
2. საქართველოს რესპუბლიკის ან მისი წინამორბედი სხვა იურიდიული ფორმატის მქონე სახელმწიფოს (სსრკ) სპორტული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ საქართველოს (სსრკ) ჩემპიონატის საავტომობილო სპორტში, პროფესიონალთა შორის, მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ლიცენზიის შესაბამისი ტიპის რბოლების 20 შეჯიბრებში;
3. საქართველოს რესპუბლიკის ან მისი წინამორბედი სხვა იურიდიული ფორმატის მქონე სახელმწიფოს (სსრკ) სპორტული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ საქართველოს (სსრკ) ჩემპიონატის საავტომობილო სპორტში, პროფესიონალთა შორის, ლიცენზიის შესაბამისი ტიპის რბოლებში უნდა ჰქონდეს 5-ჯერ საპრიზო ადგილი;

დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;

- 2 ც. სურათი (3X4).
- სურათის ელექტრონული ვერსია;
- ჯანმრთელობის ცნობა;

სარბოლო ტრასის ლიცენზია:

- P -პერმანენტული
 - NP - არაპერმანენტული
- (წარმოდგენილი იქნება დამატებითი დებულების სახით)*

საავტომობილო სკოლის ლიცენზია

- SC - ავტომობილის მართვის სკოლა (მართვის მოწმობის)
 - EX - კონტრავარიული და ექსტრემალური მართვის სკოლა
- (წარმოდგენილი იქნება დამატებითი დებულების სახით)*

მსაჯის ლიცენზია:

EM - კატეგორია – ეს არის დამწყები პირი (სტაჟიორი). ლიცენზიის მფლობელს ეძლევა უფლება:

- შეასრულოს დამხმარეს ფუნქცია, მათ შორის ტექნიკურ კომისიაში;

დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;
- 2 ც. სურათი (3X4);
- სურათის ელექტრონული ვერსია;
- 18 წლამდე პირის შემთხვევაში მშობლის ან მერვე პირის თანხმობა ნოტარიულად დამოწმებული მასზედ, რომ ის თანახმაა განმცხადებელი დასაქმებული იყოს აღნიშნული საქმიანობით;
- ჯანმრთელობის ცნობა;

ნორმატივი:

- პირი უნდა იყოს არა უმცირეს 16 წლის;
- წარმოდგინოს სსსფ-ს მსაჯთა კოლეგიის მიერ გაცემული მოწმობა, სწავლების გავლის შესახებ;
- ლიცენზირებული მსაჯის (EM კატეგორიის ზევით) სარეკომენდაციო წერილი;

DM – კატეგორია პირი, რომელსაც აქვს ყველა უფლება განსაზღვრული EM კატეგორიის ლიცენზიით, გარდა ამისა აქვს უფლება:

- შეასრულოს მსაჯის ფუნქციები სსსფ-ს სპორტული კალენდრის მიხედვით ჩატარებულ სამოყვარულო რბოლებზე;
- უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ტექნიკურ კომისიაში;

დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;
- 2 ც. სურათი (3X4).
- სურათის ელექტრონული ვერსია;
- ჯანმრთელობის ცნობა;
- სსსფ-ს მიერ ბოლო 2 წლის მანძილზე გაცემული EM კატეგორიის ვადა გასული ლიცენზია;

ნორმატივი:

- პირი უნდა იყოს არა უმცირეს 18 წლის;
- ერთ სპორტულ სეზონში EM კატეგორიის ლიცენზიით მინიმუმ 5 შეჯიბრში მსაჯობის გამოცდილება;
- სსსფ-ს მსაჯთა კოლეგიის მიერ გაცემული შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი;

CM – კატეგორია - პირი, რომელსაც აქვს ყველა უფლება განსაზღვრული DM კატეგორიის ლიცენზიით, გარდა ამისა აქვს უფლება:

- შეასრულოს მსაჯის ფუნქცია სსსფ-ს სპორტული კალენდრის მიხედვით ჩატარებულ წრიულ რბოლებში და საგზაო შეჯიბრებებში (რალი, აღმართის დაძლევა) პროფესიონალთა შორის;
- შეასრულოს ტექნიკური კომისრის ფუნქცია;

დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;
- 2 ც. სურათი (3X4).
- სურათის ელექტრონული ვერსია;
- ჯანმრთელობის ცნობა;
- სსსფ-ს მიერ ბოლო 2 წლის მანძილზე გაცემული DM კატეგორიის ვადა გასული ლიცენზია;

ნორმატივი:

- პირი უნდა იყოს არა უმცირეს 20 წლის;
- ერთ სპორტულ სეზონში DM კატეგორიის ლიცენზიით მსაჯობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება;
- სსსფ-ს მსაჯთა კოლეგიის მიერ გაცემული შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი;
- ტექნიკური კომისრის კანდიდატს უნდა ქონდეს ტექნიკური კომისისაში მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება;

BM – კატეგორია - პირი, რომელსაც აქვს ყველა უფლება განსაზღვრული CM კატეგორიის ლიცენზიით, გარდა ამისა აქვს უფლება:

- მონაწილეობა მიიღოს რბოლის შედეგების განხილვაში;
- შეჯიბრის მსვლელობის დროს შეასრულოს კომისრის ფუნქცია;
- შეასრულოს ჯგუფის უფროსის, რალის დროს სპეც. მონაკვეთის ხელმძღვანელის ფუნქცია;
- ჩაატაროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწავლებები და პრაქტიკული მეცადინეობები სამსაჯო კორპუსისთვის;
- შეასრულოს უსაფრთხოების კომისრის ფუნქცია;

დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;
- 2 ც. სურათი (3X4);
- სურათის ელექტრონული ვერსია;
- ჯანმრთელობის ცნობა;

- სსსფ-ს მიერ ბოლო 2 წლის მანძილზე გაცემული CM კატეგორიის ვადა გასული ლიცენზია;

ნორმატივი:

- პირი უნდა იყოს არა უმცირეს 23 წლის;
- ერთ სპორტულ სეზონში CM კატეგორიის ლიცენზიით მსაჯობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
- სსსფ-ს მსაჯთა კოლეგიის მიერ გაცემული შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი;
- ტექნიკურ ან უსაფრთხოების კომისრის კანდიდატმა უნდა გაიაროს გასაუბრება და

AM - კატეგორია - პირი, რომელსაც აქვს ყველა უფლება განსაზღვრული BM კატეგორიის ლიცენზიით, გარდა ამისა აქვს უფლება:

- შეასრულოს მთავარი მსაჯის ფუნქცია საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულ ეროვნულ და საერთაშორისო რანგის ღონისძიებებზე;
- მიიღოს მონაწილეობა სსსფ-ს უმაღლეს არბიტრაჟში;
- ჩაიბაროს საგამოცდო და სატესტო ნამუშევრები მსაჯობის კანდიდატურებისგან და შეაფასოს შესაბამისი კრიტერიუმებით.
- წარადგინოს მსაჯთა კოლეგიის სხდომაზე კმსაჯი ან/და მსაჯთა ჯგუფი კატეგორიის პერეკვალიფიცირებისთვის.

დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;
- 2 ც. სურათი (3X4);
- სურათის ელექტრონული ვერსია;
- ჯანმრთელობის ცნობა;
- სსსფ-ს მიერ ბოლო 2 წლის მანძილზე გაცემული BM კატეგორიის ვადა გასული ლიცენზია;

ნორმატივი:

- პირი უნდა იყოს არა უმცირეს 28 წლის;
- ერთ სპორტულ სეზონში BM კატეგორიის ლიცენზიით მსაჯობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება;
- სსსფ-ს მსაჯთა კოლეგიის მიერ მითებული კადაწყვეტილება ;
- მსაჯობის სრულყოფილი გამოცდილებაზელმძღვანელ თანამდებობებზე არა უმცირეს 20 შეჯიბრებაში, რომელიც ჩართულია სსსფ-ს ოფიციალურ კალენდარში, რომელთაგან ყველა არის საქართველოს თასის ან ჩემპიონატის სტატუსის მატარებელი;

მექანიკოსის ლიცენზია:

Mechanic - კატეგორია - ფიზიკური პირი, რომელიც ემსახურება ამა თუ იმ კლასის ავტომობილს (ებს) მექანიკოსის სტატუსით უნდა ფლობდეს შესაბამის ლიცენზიას.

პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

- შეავსოს განაცხადის ფორმა;
- ფოტოსურათის ელ. ვერსია;

მრბოლელის ეროვნული ლიცენზია:

F1 - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა ნებართვა, სსსფ-ს ოფიციალურ საყმაწვილო შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღებისა.

ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

დოკუმენტები:

- სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული კარტინგის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერთიფიკატი;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- მშობლების ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;

ნორმატივი:

- ლიცენზიის მსურველი უნდა იყოს არანაკლებ 6 წლისა და არაუმეტეს 18 სრული წლისა. უნდა წარმოადგინოს სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული კარტინგის სკოლის სერთიფიკატი არანაკლებ 12 თვის გამოცდილებისა ან
- FIA - ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოელის ლიცენზია შესაბამისი ან ზემდგომი კატეგორიით.

მრბოელის ეროვნული ლიცენზია:

M - კატეგორია - მრბოელს ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს ოფიციალური კალენდრის მიხედვით ორგანიზებულ წრიულ რბოლებში ძარიანი ავტომობილების კლასში (იგივე კლასი GTCC);

ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

დოკუმენტები:

- ავტომობილის მართვის მოწმობა და ექსტრემალური მართვის სკოლის მიერ გაცემული ნორმატიული დოკუმენტი ან ექსტრემალური მართვის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერთიფიკატი;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში (14 - დან 18 წლამდე) ნოტარიულად დამტკიცებული მშობლების თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;

ნორმატივი:

- HONDA Civic 1500, BMW Compact 1900 კლასის ან ამ კლასების ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი ავტომობილით (იგივე კლასი GTCC) წრიული რბოლის ტრასაზე სსსფ-ს მიერ განსაზღვრული ნორმატიულ დროში მინიმუმ 3 -ჯერ ზედიზედ გავლა. სსსფ-ს მიერ აღიარებულ ნორმატიულ დროდ ითვლება ზემოთ მოცემული კლასის ავტომობილებით, კონკრეტულ ტრასაზე და კონკრეტული ამინდის პირობებში, ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრზე ნაჩვენებ საუკეთესო დროს დამატებული ამავე დროის 12%.

მრბოლელის ეროვნული ლიცენზია:

E - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს ოფიციალური კალენდრის მიხედვით ორგანიზებულ ნებისმიერი ტიპის შეჯიბრზე, გარდა ერთადგილიანი ბოლიდების კლასისა. ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

დოკუმენტები:

- ავტომობილის მართვის მოწმობა, ექსტრემალური მართვის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერთიფიკატი ან FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში (14 - დან 18 წლამდე) ნოტარიულად დამტკიცებული მშობლების თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;

ნორმატივი:

1. FIA - ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია შესაბამისი ან ზემდგომი კატეგორიით ;
ან
2. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ექსტრემალური მართვის სკოლის სერთიფიკატი შესაბამისი შეფასებით;
ან
3. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებულ ოფიციალურ სამოყვარულო რბოლებზე:
 - 5 ჯერ მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).
 - ან
 - 2 ჯერ საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.
 - ან
 - 1 ჯერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი.
 - ან
4. M კატეგორიის ლიცენზიით მინიმუმ 3 შეჯიბრზე მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით) .
ან
5. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ოფიციალურ კარტინგის რბოლებზე:
 - 5 ჯერ მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).
 - ან
 - 2 ჯერ საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.
 - ან
 - 1 ჯერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მრბოლელის ეროვნული ლიცენზია:

F - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს ოფიციალური კალენდრის მიხედვით ორგანიზებულ ნებისმიერი ტიპის შეჯიბრზე, ნებისმიერ კლასში. ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

დოკუმენტები:

- ავტომობილის მართვის მოწმობა, ექსტრემალური მართვის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური
- სერთიფიკატი ან FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული
- მრბოლელის ლიცენზია;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში (14 - დან 18 წლამდე) მშობლების თანხმობა საავტომობილო
- რბოლებში მონაწილეობაზე ნოტარიულად დამტკიცებული;
- 2 ფოტო სურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;

ნორმატივი:

1. FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია;
ან
2. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ექსტრემალური მართვის სკოლის სერთიფიკატი;
ან
3. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ოფიციალურ სამოყვარულო რბოლებზე:
 - 5 ჯერ მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).ან
 - 2 ჯერ საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.ან
 - 1 ჯერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი.ან
4. M კატეგორიის ლიცენზიით:
მინიმუმ 3 შეჯიბრზე მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).
- ან
5. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ოფიციალურ კარტინგის რბოლებზე:
 - 5 ჯერ მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).ან
 - 2 ჯერ საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.ან
 - 1 ჯერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი.

1.5) ლიცენზიების გაცემის ასაკობრივი დიაპაზონი

მრბოლელის ყველა ეროვნული ლიცენზიის გაცემა (FJ – ს გარდა) ხორციელდება 14 სრული წლის დადგომის შემდეგ.

FJ მრბოლელის ეროვნული ლიცენზია გაცემა 6 – დან 18 წლამდე ასაკის პირებზე.

მონაწილის ლიცენზია გაიცემა მხოლოდ 18 წელს ზემოთ ასაკის პირებზე. აგრეთვე ამ ტიპის ლიცენზია გაიცემა იმ იურიდიულ პირებზე, რომელთაც წარმოადგინეს სსსფ-ს მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია.

AM, BM, CM, DM, EM მსაჯის ლიცენზიები დაიცემა 16 წლის ასაკიდან პირებზე;

Mechanic მექანიკოსის ლიცენზია გაიცემა 16 წლის ასაკიდან პირებზე;

EC შტურმანის (კოპილოტი/ ნავიგატორი) ლიცენზია გაიცემა 16 წლის ასაკიდან;

1.6) სავალდებულო დაზღვევა მრბოლელის ლიცენზიის მისაღებად

ყველა მრბოლელმა ადმინისტრაციული შემოწმების დროს, უნდა წარმოადგინოს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ბარათი, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედების ვადით, გამონაკლის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს მოკლევადიანი დაზღვევა რომლის მოქმედების პერიოდი წმთხვევა სპორტული ღონისძიების ჩატარების თარიღს..

1.7) ლიცენზიის მოქმედების ვადა

სსსფ-ს ყველა ლიცენზიის მოქმედების ვადა განისაზღვრება გაცემის დღიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.8) ლიცენზიის ღირებულების გადასახადი.

ლიცენზიის ღირებულების გადასახადი განისაზღვრება სსსფ-ს მიერ და გამოქვეყნდება დანართის სახით სპორტული სეზონის დაწყებამდე მინიმუმ 30 დღით ადრე.

ორგანიზატორის ლიცენზიის ფასი არ აღემატება მრბოლელის საერთაშორისო A კატეგორიის ლიცენზიის ფასს.

1.9) ლიცენზიის მოქმედება.

სსსფ-ს მიერ გაცემული ლიცენზიები მოქმედებს ყველა იმ შეჯიბრზე რომელიც მოცემულია სსსფ-ს სპორტულ კალენდარში. ლიცენზიის მოქმედების ვადა განისაზღვრება გაცემის დღიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს საავტომობილო

სპორტის ფედერაცია

დეკემბერი 2016 წელი